



ნახ. ჯ. ლოლუასი

საზოგადოებრივი კვების ზოგიერთ ობიექტში საღარო ფორმალურადაა ანგარიშსწორებას შებუფებზე აწარმოებს.


კომენტარები შედეგითა



ნახ. ჯ. ლოლუასი


— ამ გუზს აკვირდება მთელი კვლევითი ინსტიტუტი! რომ გაგვიფრინდეს, უველას ჩაგვივარდება დისერტაცია!

ნახ. ნ. მელბესსვილი



ეროვნული
გიგლიძეთა

უსიტყვოდ



ნახ. ნ. მელბესსვილი

უსიტყვოდ




ნახ. ჯ. ლოლუასი

— რა ამბავია, ეს ერთი ციცქნა ნაწილი სამოცი მანეთი?! ხელზე ოცდაათ მანეთად იყილება!

საქართველო

2



ზ. ფ.

საქრო სელალომ ნიკო კახიკაძე

ნანატრ ბატონ ნიკოს —
ტიტან ბოტანიკოსს —
მზუკადემიკოსს —
გიძღვნი ოთხმოც სტრიქონს!
შიგ შექებაც იყოს,
შეხუმრებაც იყოს!
გახარებს ღმერთი,
ვიცი, რომ გამიგოს!
ჩვენი დიდები და
ჩვენი პატარები
შენს დიდებულ წიგნებს
გულით ატარებენ!
შენ — მინდიას ახალს
და ბუნების მგოსანს —
ყველა კულტურული
დღეს მცენარეც გლოცავს!
მთლიან საქართველოს
რომ ახარებს ახლა, —
ის მზიური სიტყვა
ტყვიავიდან დაგყვა!
ნაღდი პატრიოტი
დღეს ყოველი გეტყვის:
„ხარ მამულის მნათი
შენ ცხოველი სვეტი!“
უნივერსიტეტით —
ჩვენი ცოდნის კერით —
რვა წელიწადს რეკდა
რექტორობა შენი!
ეს ტაძარი დიდი
დღეს შენითაც ტაძრობს —
ნაღდო ბელეტრისტო,
ნაღდო ერისკაცო!
ყველა პირველსხიველს
გვყავხარ ხატთა ხატად —
ჩვენო ძია ნიკო —
ახდენილო ნატვრავ!
როცა ამევსება
სული ლექსის დენტით, —
მენატრებით შენ და
უნივერსიტეტი!

შენ ზეპირად იცი
საქართველოს მიწა
და, ყველაზე მეტად,
ის გიყვარს და ის გწამს!
მისით სუნთქავს ნედლი
შენი სიტყვა ყველა!
მკერდში გიძღვრს გული —
საქართველოსხელა!
ერთ დროს საქართველო —
ოქროსსივმოსილი —
თვით დარუბანდამდე
იყო ნიკოფსიით!
ხალხში მძლავრად გადგმულ
წიგნთა შენთა ფესვებს
ხალხის სიყვარული
კვებავს, უაღერსებს!
ოქროს ნაყოფს ისხამს
შენ რომ დარგე, ის ხე!..
და მოისხამს მარად
ამ ცხრათვალა მზისქვეშ!
ვით ფარვანა სანთელს,
როგორც მუხას მუმლი, —
გარს გეხვიონ წლები,
ოღონდ — კარგი გულით!
აღფრთოვანებულმა
უნდა გადღვრძელო —
ზეკაი ყმა ნიკო
სვეტიკეტხოველო!
როგორც შენი მამას, —
გეფერება დაღლილს, —
უნივერსიტეტის,
ღვთაებრივი ბაღი!
შუბლს გიკოცნის ვრი!
(ადრეც გიკოცნიდა!)
ერის კოცნა ბევრი
გელის, ნიკოწმინდავ!
თუ არ მოგწონს გიგლას
მეგობრული შარჟი, —
თავს დავატებ გრივალს, —
ფირცხალავას დაესჯი!
ზაურ ბოლქვაძე

უკლავ, არ ღიუგლავ...

სოხუმელმა ა. გაბელიამ რუსეთში არალეგალური გზით მანდარინის გატანის საქმეში რაციონალური წინადადება დანერგა: იგი ავტომანქანა „შკოდას“ მძღოლს, გონაკულ მ. უხანოვსა და სომხეთის სსრ სორცისა და რძის საქმის ტროს მძღოლს ს. ხაჩატრიანს მოურიგდა. ჩატვირთეს ავტომანქანებში დიდძალი ციტრუსი. იმ შემთხვევაში, თუ უხანოვი და ხაჩატრიანი „საქონელს“ მშვიდობიანად გაიტანდნენ საქართველოდან, გასამრჯელოდ 8.400 მანეთს მიიღებდნენ, მაგრამ, მათდა სავალალოდ, გაბელიამ სამი წლით მიიღო სასჯელი, ხაჩატრიანმა — ერთი წლით, უხანოვმა კი — წლითა და ექვსი თვით.

გულირფშელ მოძმეებს დახმარების ხელი გამოუწოდეს კრასნოდარელმა მძღოლებმა ი. ტლუხასმა და ბ. ჩაშამ. საკუთარი მანქანა შესთავაზა აფხაზეთის ქორვაჭრებს მ. მიხაილუკამ ქალაქ ჩერნოვციდან. მათ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ უნდა გაეტანათ 46.440 კილოგრამი მანდარინი, გასამრჯელოდ კი ყველამ თითო-თითო... წელი მიიღო!

ასეთივე ბედი ეწია „აბსოლუტის“ ავტომანქანის მძღოლს შ. გომბისს, რომელიც რესპუბლიკის გარეთ 1.400 კილოგრამი ციტრუსის გატანას ცდილობდა.

— შორი გზა მოიარე და შინ მშვიდობით მიდიო, — მოიშველია, ცნობილი ანდაზა სოსუმელმა შ. თოდუამ, — მართალია, ადრე ცეცხლმსროლელი იარაღისა და ასაფეთქებელი მასალის შენახვით ვირთობდი თავს, მაგრამ ამას რას დაუშლის, თუ რესპუბლიკის გარეთ რამდენიმე ათეული ტონა მანდარინი გაიტანო შორი გზის მოვლით!

ჰოდა, დარაზმა სატვირთო მანქანების მთელი კოლონა, მძღოლებს კი გასამრჯელოდ 5.144 მანეთს დაჰპირდა (მძღოლები: შ. ჩიტაია, ი. კუსიდი, ბ. ჩიჩუა, შ. ფარულავა, პ. ნიკოლაიდი).

მაგრამ ის იყო, შ. თოდუამ შევებით ამოისუნთქა და თავისთვის ჩაილაპარაკა, ფონს გავედითო, რომ კოლონა ზესტაფონში დააყავს და უმოკლესი გზით გაამგზავრეს, სადაც ჯერ არსს...

ქარს გაჰყვა ხელის ჭუჭყი და ქორვაჭართა ჭუჭყიანი ზრახვები!

მეგობრივი კომპლემენტები,
„ნიანვის“ საკუთარი კორესპონდენტი



ნახ. ზ. დინსაძისა

უსიტყვოდ

ნაკვეთები


- **ბრაკონიერმა** ორ წლიან ირემს ესროლა და... სამწლიანი აიკიდა.
- **ფერმას** მგელი დაეცა და... გამგე ფეხზე დააყენა.
- **თავაჯდომარი** გზებს ყურადღებას არ აქცევდა და... ტალახიც ფეხებზე ეკიდა.

ავთანდილ მებრელიშვილი

ანდაზები

- **ცხვარი** ცხვარია, მაგრამ თუ გატყავდა, ცხარიო! — თქვა ქმარმა, როცა ცოლს „ღუბლიობა“ უყიდა.
- **ასანთმა** თქვა: ჩემი ფასი კაპიკია, სივარეტ „კოლხეთს“ კი ცეცხლის ფასად ჰყიდიანო!

ჭაბუკა დინსაძე



უსიტყვოდ

ნაშრომად ჩემი გზები

ეროვნული
იურიდიკა

მეზობლის სიღებრს მოუკვდა ბიძა, სახელად — აქვსენტი, იყო ოთხმოცდაათი წლის, არც ნაკლები და არც მეტი... რა გვექნა, ფეხზე დავდექით ყველა, დიდი თუ პატარა, სოფლის შარაზე მანქანამ აღმართ-დაღმართით გვატარა. ჩავაღწიეთ და მიწაზე ჩამოვდგივით ფეხი თუ არა, ჩვენს ჭგუფს ვილაცა ახმახმა ამაყად შემოუარა, წამსვე დაგვაწყო მწკრივებდა, ყველაფერს თავი ანება, „წინ გაუშვითო ქალები!“ — გაისმა მისი ბრძანება. ხალხით გაჭედილ ეზოში გზას იღებებით იკვლევდა და ხელებს, ჩვენკენ გამოწვდილს, ღირიფორივით იქნევდა. ერთმა კივილი დაიწყო, ხმა შეაშველა მეორემ: „არ გვჭერა, მკვდარი თუ ხარო!“ — შერწყმულად გაიმეორეს. იყო ვაი და ვიშვიში, ღოყაზე ხელის ფათური, ავღრიალეთ შვილები — გია, გელა და ბადური. „ფულს იმ ოთახში წერენო!“ — ვილაცამ ხელით გვანიშნა, „მაღე მორჩითო!“ — გვიბრძანა და რეგლამენტი დანიშნა. ჩამწერი, კარგად მეყოლეთ, ხუთზე ნაკლები არ იქდა, ვილაც უცნობი ბებერი სამი თუმანი დამიჭდა. აღარ ვიცოდი, სუფრაზე მიწვეულს რაღა მფლონა, რადგან, ქელებში კი არა, თავი ქორწილში მეგონა. საქმელი ოხრად ეყარა, სასამელი — დვინო, კახური, მხიარულება, კამათი — ტირილში ჭერ არნახული.. გამჭევრმეტყველდა თამადა: მე ასე მაქვსო ჩვევდა.. ჩვიდმეტი ჭიქა დალია, არ შეისმინა რჩევა და ყველას დაღვევა გვიბრძანა! ატყდა ჩოჩქოლი, ყაყანი, თვითონ უგრძნობლად დაეცა, არავინ იყო წამყვანი.. მე თავს გაქცევით ვუშველე, რადგან დრო არა მრჩებოდა: მეუღლის დედაშვილის ქორწილში მერქარებოდა.. დავიჭირავე „ჟიგული“, ცოლ-შვილით გვიან ჩავედი, წამსვე მეორე სართულზე ფულის საწერად ავედი. რა ვქნა?! ნაცნობთა წრისაგან მსურს ვიყო გაურიყავი შესაწირავის დღიურში ხუთასმეხუთე ვიყავი.. ხიაში ჩემი საწყალი ხუთი თუმანიც ერა, ხელგაშლილ ბიჭად მომნათლეს, მე კი დავკარგე ფერია.. ვერ ამითავდა ხელფასი, სახლში ცივდება კერია.. ვინც დამაბაიუებს, ვაცხადებ: ნამდვილად ჩემი მტერია!

ვასტანგ გულუა
(ქ. ზუგდიდი)

ბატონო ნიანგო! შარშანაც შეციებულეგმა გამოგიგზავნეთ წერილი და ახლაც, გაყინულები, ხელის კანკალით ვწერთ ამ დებეშის ტექსტს. ეტყობა, შენს ხახაში ჩავარდნის შეეშინდათ და მოვიდნენ ხელოსნები, მაგრამ, როგორა ხართო გვეკითხეს და სამუდამოდ დაგვემშვიდობნენ. ბინებში პალტოებით შეყუყულები ამაოდ ველოდებით გათბობას!.. ცხელი წყალიც შეწყდა, რატომღაც, ეს ერთი თვეა.

დოლიძის ქუჩის მე-19 და მე-20 კორპუსებში მცხოვრებნიც ხალხნი ვართ, ძმაო ნიანგო, და ნუ გავგიმეტებ გასაყინავად, უთხარით ორიოდ ცივი სიტყვა ჩვენი სახლმმართველობის მესვეურებს, რომელთა წყალობით გათბობის გადასახადსა და სურდოს ერთდროულად ვიხდით!

ამხანაგო ნიანგო! არც ბევრეთის ქუჩის (№4) პირველ კორპუსში მცხოვრებნი ვართ აელთბილად. ოცდაათი ოჯახი ვცხოვ-

**ელვა
დეკაზები
თაილისიდან**

რობთ ოცდასამი წლის წინათ აშენებულ სახლში, მეორე და მესამე კორპუსებში შემავალი გათბობის მილები ჩვენი სახლის კედელში გადის, კორპუსებში სიციხით წუხდებიან, ჩვენ — სიცივით. „თბილმშენს“ კი ჩვენი გათბობისთვის არ ცხელა, ფული არ გვაქვსო. ჩვენი ფონდით მოვითხოვეთ საქმის მოგვარება, მაგრამ იგი ადგილზევე გაიყინა. თითქმის ყველგან ვიჩვილეთ და გაყინულებმა კიდევ სადღა ვიჩვილოთ ამ ცხელ გულზე?!

ძმაო ნიანგო! განათლებული ხარ და გეცოდინება, რომ განათლების სამინისტროს კოოპერაციულ სახ-

ლში (ვაჟა-ფშაველას პროსპექტი №26) მცხოვრებნი გასულ წლამდე ვიმყოფებოდით კოოპერაციულ მომსახურებაზე, მერე გადაგვიყვანეს კომუნალურზე, რომლის სახლმმართველობა გურამიშვილის ქუჩაზე მდებარეობს. სადარბაზოებში აღარ გვყავს დამლაგებელი, აღარც ლიფტიორი დაგვიტოვეს, აღარც სამორიგეო-სადისპეტჩერო. ორჯონიკიძის რაიონის კოოპერაციული სახლების უფროსი **ბოჭორიშვილი**, უბნის უფროსი **ქოროლიშვილი** და თბილისის ლიფტების სამმართველოს უფროსი **ბადათურია** ჩვენს ამ გასაჭირს ერთმანეთს აბრალებენ.

რა ვქნათ, ნიანგო, ველოდით, როდის გაირკვევა მტყუან-მართალი, ვიყოთ სიცივეში, მტერისა და ნაგავში, ვისეირნოთ დაბლიდან მაღლა სართულებზე ფეხით, თუ გამოიჩენ ვაჟაკობას და ჩამოხვალ შენი ბასრი ჩანგლით ჩვენთან?!

დებეშები მიიღო
ვანო გურუშლა

როგორ ვიპოვო ჩემი თავი

ის ამბავი არავის აკვირვებს, დღეს რომ ვინმე ტელევიზორი იყიდოს. დღეს ის არის გასაკვირი, რომ არავის ჰქონდეს ცისფერი ეკრანი. დღეს ისიც საოცარია, ახალნაყიდი ტელევიზორი რომ არ გაგიფუჭდეს. ამ პრობლემით დაინტერესებულმა ტელერემონტების დემონს ვკითხე, რომელი მარკის ტელევიზორი სჯობია-მეთქი? მან კი შიშასუნა, ტელევიზორი გამოდგომასეა! ჰოდა, რაკი ტელევიზორები გამოდგომასე უფილა, მე არც კი დავფიქრებულვარ, ისე ვიყიდე „ჰორიზონტ-10“. ყიდვის მეორე დღესვე გარემონტებას შევუდექი. ამ გარემონტებას არ შევუშინებდვარ, რადგანაც მეკუთვნიდა საგარანტიო რემონტები. მე ემპირიული მეთოდით დავათორევე, რომ გარანტია არის ისეთი შესრულებული რემონტი, რომლის შემდეგ კვლავ სჭირდება არაგარანტირებული ხელოსნის მოყვანა. გარანტირების პერიოდში არ გავგონოთ, ტელევიზორებს ერთი და იგივე ნაწილი უზიანდება, სულ ახალ-ახალ დეტალებს ყლაპავს დიეტურად. ისე რომ, ერთი წლის თავზე ახალნაყიდ ტელევიზორში მთლიანად შეიცვლება გარანტი-

რებული ნაწილები. ხომ გაგიგიათ, თუ კაცი გონიერია... მეც ტყუილად არ ვადევნებდი თვალყურს ფულისმშთანთქმვე ხელოსნებს. მხოლოდ შრომით, შრომით, შრომით მივალწიე მოყვარული ტელეხელოსნის პროფესიას. ამ ამბავს ჩემი მეზობლები ფართო-ეკრანიანი ტელევიზორებით გამოეხმაურნენ, მრავალი მიწვევამოწვევა მივიღე. ჩემი ტელეხელოსნობის ტალანტმა სხვა მასივებსა და კვარტალებშიც შეაღწია. იარა, იარა და ჭორივით მოედო ჩემს სამსახურს, სადაც მარწყვის ახალი ჯიშის გამოყვანაზე ვმუშაობდი. სხვათა შორის, როცა ტელევიზორებს ვარემონტებ, ახლომახლო არავის ვაჭაჭანებ, საიდანაც მესმის შორეული ძახილი: „სხვის შეცდომებზე სწავლა!“ მამხნევეს ფანსკერტელების, თურმანიძეებისა და ლალიძეების პროფესიული ეგოიზმი — სხვას რომ არ ასწავლიდნენ თავიანთ ჯადოქრობას... დიხაც, რომ მართლები იყვენენ, რაც მეტს ასწავლიან, მით მეტი უცოდინარი გაჩნდება ამ ჭკვეუნაზე!

შეითხველო, თვითნასწავლ პროფესიას აქვს ერთი მინუსი: აკადე-

მიურ სასწავლებლის კურსდამთავრებული სპეციალისტები შუა-რით უყურებენ რაფსოდების მიერ ნაჩუქარ ტალანტს და ებრძვიან უკუნითი უკუნიასმდე.

ამგვარ შემთხვევას ვერც მე ავციდი: ვილაქამ (იმას კი ვენაცვალე ცაცემში!) დამიწერა, მეცნიერი მუშაი დაძრწის და ტელევიზორებს არემონტებს, არცხვენს მეცნიერის სტატუსსო.

სამეცნიერო საბჭოზე ბევრი იმსჯელეს ჩემზე და მოკლე რეზიუმე გამოინასკვეს ვინმე ბატიაშვილმა და მესტ-ვირიშვილმა: „რადგანაც დროულად ვერ გამოჰყავს მრავალმოსავლიანი ანუ უხვმოსავლიანი, იაფფასიანი, ესთეტიკური ფერის მარწყვი, შემცირდეს შტატებიდან“ ჰოდა, შემამცირეს.

თქვენ რა გგონიათ, მე სადმე დავიწყე ჩივილი, ჩემი მარწყვი მთელ მსოფლიოში უნიკალური ჯიშია-მეთქი? სულაც არა!..

ახლა მე იმდენად მაღალი დონით ვარემონტებ ტელევიზორებს, რომ ის ხელოსნები, რომლებიც ადრე მე მირემონტებდნენ, ჩემი ცოდნის ნიაღვარმა გამორეკა სახელოსნოებიდან და სათბურებში მოათუნა. გამოჰყავთ მარწყვი, ბალი, ლეღვი, კიტრი და პამიდლორი...

რა ვუყოთ, ცხოვრებას მკაცრი ლოგიკური კანონები აქვს! **ელეპტრონიკა ელექტრონიკაშილი.**

უსახლო წერილების ავტორი


რაც რომანტიკა არის ხეცხურში, ამერ-იმერში — საქართველოში, შენ, უსახელოვ, იმას ხელს უწყობს თავის მომპრეოდ სადაღ, შემოგვრჩი? დაჯდები კაცი, სულის გარეშე, აავსებ თაბახს ცილისწამებით! რა „ბეჭითი“ ხარ, ვხედავთ: ღამეში არ გენადვლება ძილის წამები! ბოროტულ წერილს ამთავრებ, ცეკვავ, მერე ფიქრდები — გაგზავნა სად ჯობს. ჯერ რომ დააწერ — „პარტიის ცეკვას“, ამატებ — „ასლი მინისტრთა საბჭოს“!

უჩივი ამას, იმას უჩივი, უჩივი დროს და უჩივი სივრცეს... და შენ, ხბოხავით ასე „გულჩივილი“, მზადა ხარ, ხალხი გენას მისცე! ცილს, ვისაც გინდა, იმას დასწამებ, თუ ჩაიქნე ხელი სინდისზე!


ასეთი წერა სად შეგასწავლეს, დედის რძე გზრდიდა თუ სიმინდის რძე? რამდენ კაცს აცდენს შენი ნაჯაბნი, ეგ უსახელო უსტარ-გრაგნილი! თუ გამოჩნდები, იცი, დაგჯაბნის, ვისაც ძირს უთხრი! კი ხარ გაქნილი! ღირსი ხარ, ცხენის კუდით გათრიოთ, ვაგლახ, მეგობრად რა ბევრს ეგულვის წარსულში საბოღნენ მრავალ პატრიოტს, შენგან ვინც იყო დაბეზღებული!.. მე მიკარანა გულმა, თარიღმა, რომ შენთვის მიქდვან ეს ანათემა! რას იმალები, თუ მართალი ხარ?! — სიმართლე მუდამ ბნელს ანათებდა! გამოჩნდი მზეზე, ხელი აღმართე და მოაწერე ხელი კაცურად!

შეხედე, როგორ ვიპყრობთ აღმართებს, დათვლე, რამდენ ზღვას გადავცურავთ! შენთვის იქნება ძალიან ძნელი, თუ ვერ გაიგე, — კაცმა რატომაც, — სვეტიცხოველზე თავისი ხელი მოაწერა და ზედ შეატავა!

ჯამალ ინჯია
(საკონკურსო მასალებიდან)



ნახ. გ. ფირცხალაშვილი



ნახ. ჯ. ლომუხანი

უსიტყვოდ

ძია, თქვენი სასწორი წინ მიდის!

ზოგბერ ასეი სეაა

სამარშრუტო ავტობუსი გრაფიკს არღვევს! არ გაგიკვირდეთ, თუ გრაფიკის დარღვევა მხოლოდ და მხოლოდ მძღოლის სურვილითაა გამოწვეული. ერთი შეხედვით, თითქოსდა არაფერი მომხდარა: მძღოლმა ავტობუსი გააჩერა იქ, სადაც მისთვის საჭირო სურსათი იყიდებოდა. მოზიარე რომ არავინ ჰყოლოდა და თანაც მგზავრებიც არ გაფანტულიყვენენ, ავტობუსის ორივე კარი ჩაკეტა და ვაჭრობას შეუდგა. კარგა ხანი რომ გავიდა (დაახლოებით 15-20 წუთი) დაბრუნდა და ახლა მის ნაცნობ მოლარე ქალს დაელოდა. მგზავრები, აღშფოთებულნი და შეწუხებულნი, საყვედურს გამოთქვამდნენ, მაგრამ მძღოლი ამას არაფრად

აგდებდა. კანონიერმა მოთხოვნამ მძღოლი გაანერვიულა.

„თუ ასე იყაყანებთ, სულ არ წავალ და, აბა, ვნახოთ, რას იზამთო!“ როგორც იქნა, ნაცნობი მოლარე გამოჩნდა. სინხარულისაგან მგზავრებმა ტაში შემოკრეს, „ვერე არა სჯობს, თქვე კაი ხალხო?! რომ მეჩხუბებით, რას მეჩხუბებითო?!“ — თქვა მძღოლმა და ავტობუსიც ადგილიდან დაიძრა, დოლიძის ქუჩის ბოლოში მობრუნდა და ლენინის მოედნისკენ გაემართა. ჩვენ მხოლოდ ავტობუსის ნომერი დავიმახსოვრეთ — 30-35 გამ — და, სახლში მისვლისთანავე, მოსახვევი კალენდრიდან 1977 წლის 7 ოქტომბერი მოვხიეთ.


* * *

ავტობუსი „იკაროსი“ მარშრუტი №1, სახელმწიფო ნომერი 80-62--გან

საბჭოს ქუჩაზე მოძრაობდა ბარათაშვილის ხიდის მიმართულებით, მაგრამ, ვაი, ასეთ მოძრაობას და, უი, ასეთ მძღოლს, როცა თავისი არ იცის და სხვისიც არ უნდა გაიგოს! ერთი „ჭიკული“ კინალამ ბოძს შემოახვია, მეორეს კედელზე გაკვირვით დაემუქრა. შენიშვნის მიცემა იუკადრისა, შემინიშნელს შეურაცხყოფაც კი მიაყენა და ბოლოს სამარშრუტო გზას გადაუხვია, აღშფოთებული მგზავრები კალინინის ქუჩაზე გააქანა, ტრამვაის გაასწრო და შექმნა საავარიო მდგომარეობა. გასწრება ბოლომდე ვერ მოახერხა და მოპირდაპირე მხრიდან მომავალ ტრამვაის ურჩი ცხენივით წინ გაუჩერდა, შექმნა ე. წ. „პრობკა“ (5/XI-77 წ. 13 ს. 30 წ.).

თავზეხელაღებულ მძღოლთა ჯირითს ბოლო უნდა მოედოს!

ქანი სიხარულიმე



რედაქციის უმჯობესი და გორის რაიონის სოფელ საბაშეთის კოლმეურნეთა კოლექტიური განცხადება: წყალგაყვანილობა გვაქვს, მაგრამ წყალი არ მოდისო.

გორის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომიდან, სადაც აღნიშნული განცხადება შესამოწმებლად და ზომების მისაღებად გადავაგზავნეთ, შეგვატყობინეს, რომ საქაშეთის წყალსადენი გადატვირთულია, ამიტომ ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას მთლიანად. 1978 წლიდან ექსპლოატაციაში შედის სოფელ ბრეთის ახალი წყალსადენი, ეს კი საქაშეთის წყალსადენს გამოათავისუფლებს და მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს სოფლის წყლით მომარაგების საკითხს.

* * *

ჩვენს საკლასო ოთახში წვიმა შეუფერხებლად ჩამოდისო, — წერდნენ რედაქციას სოფელ ქანდაშის საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლეები.

საგარეჯოს რაიონის სახალხო დეპუტატების საბჭოს აღმასკომიდან მოგვწერეს: სასკოლო შენობის უხარისხოდ შეკეთების ფაქტი სინამდვილეა. შენობის სახურავი ისევ შეკეთდა. 1978 წლისათვის კი გათვალისწინებულია კაპიტალური რემონტის ჩატარება.

* * *

ავტობუსი „ვესტაფონი-ალისუბანი“ გრაფიკიდან მოხსნესო, — გვწერდნენ თერჯოლის რაიონის სოფელ ალისუბანიდან.

თერჯოლის რაიონის სახალხო დეპუტატების საბჭოს აღმასკომმა გვაცნობა, რომ ავტობუსის მოძრაობა შეწყვიტა ზესტაფონის ავტობუსების კანტორამ გზის უვარავილობის გამო. მიმდინარეობს გზის შეკეთება, რის შემდეგაც მარშრუტი — „ვესტაფონი-ალისუბანი“ — აღდგენილი იქნებაო.



— მაშ, შენ არ გითქვამს თარტი თევზების მფყავო?!

ფაციას დისერტაცია

სკოლაში ცელქი ფაცია ვერ გახდა ფრიადოსანი, კეკლუცი, მოლსვენარი, დაპქროდა როგორც ფროსანი. უმაღლესშია ფაცია, ვერ აჩოქებენ „ორები“, დიპლომის მაღარჩია... ცეკვავენ პროტექტორები.

საქმე წინ მიდის, ამაყობს ფაციას მამა ფხიანი: — სულ მალე ჩემი გოგონა გახდება ხარისხიანი! დისერტაციებს რომ იცავს, ნეტავ ვინ არის გენია? თუ ხერხი იცი, ხარისხიც ადვილი შესაძენია...

თემას ურჩევნ ფაციას (რას ნიშნავს მამის სახელი!) — „როგორ ებრძოლოს ნიკოტინს გული, ღვიძლი და ნაღველი“ და ეს „კეთილი ძიები“ აქაც შევლიან ფაციას, ზემოობს ქალი, მზად არის „ბრწყინვალე დისერტაცია“.

აჰა, ბანკეტიც! ლხინია! ხუმრობენ ოპონენტები: — არვინ გავვიგოს რა ვქენით, დაგვერევიან კეტებით! — ამბობენ, ზოგჯერ ასედაც კეთდება დისერტაცია! ვინც ეხმარება უვიცებს პატიოსანი კაცია?!

ღრო არის, ბოლო მოეღოს საძრახის მაქინაციას, არ ამაყობდეს ხარისხით თავქარიანი ფაცია!..

დავით თვალზრელიძე

მიიღე, ძმაო ნიანგო, რუსთაველების საღამო! (სიტყვით ვერაფერს გავხდით და ავაწრიბინეთ კალამი) რუსთავი ძმობის ხილია, ბევრი სიკეთის მთესავი. „წესრიგი ყველგან, ყოველთვის!“ — ჩვენი დევიზი ეს არის. პირნათლად დავაგვირგვინეთ გეგმა ნაკისრიც, შემხვედრიც, ახლოს ვერ გაჭაჭანდებო ჩამორჩენილი ჩვენს გვერდით! მაგრამ, ნიანგო, აქა-იქ, ჩვენთანაც ნახავ საკბილოს! საქები უნდა შევქაოთ, საძრახი უნდა გავკილოთ! ქალაქის ახალ უბნებში გზები გვაქვს, მაგრამ რა გზები?! — კალიბრით დახტვიან ოღროჩლოვზე ტაქსები. გზის მშენებელთა მარჯვენის როგორ არა ვთქვათ „დიდება?“ — წვიმის დროს ზოგჯერ ქუჩებში გემი და ნავი გვეკირდება. ფესსაცემელები ტლახში ჩაგრჩება, მიხვალ ვიდრე შენი.. (სამაგიეროდ ისწავლი ცურვას და ხტომას სიგრძეში) ზოგან, ახფალტის ადგილას, ამოსულია ბალახი, ზოგან, ვით სოფლის შუკაში, მუხლებამდეა ტლახი.. ახფალტი გვაწვ თხლადაა ღომის ქერქივით დაკრული, მათი რემონტის ღოდინში ჰა, გადის ზამთარ-ზაფხული! რუსთაველები, ნიანგო, უკვე თხუთმეტი წელია, აბაზანებში მოთმენით სანატრელ ცხელ წყალს ელიან.. ცხელს ვილა ჩივის, როს ცივი ღამ-ღამით მოიპარება!.. (აბანოებში რიგია, კაცი ვერ მიეკარება!) აღმათ, ამ საქმეს კვლავ დიდხანს თავს აღარავინ დაადგამს, მაშ, რად კრძალავენ ბინებში წყალგამცხველებელ დანადგარს?! ჩვენ ჩვენი ჭირი ვითხარით და შენგან ველით განაჩენს, როცა ჩამოხვალ რუსთავში, მერე ვიამბობთ დანარჩენს!

რუსთაველების დავალებით ვანო ცინცაძე



— რატომ არ მიდის პენსიაზე თქვენი კულტურის განყოფილების გამგე? — განცხადების დაწერა არ იცის და რა ქნას?!

საუკის ნიღბი

მომავალი თვის სამუშაო გეგმის შედგენის შემოქმედებით პროცესში ადგილკომის თავმჯდომარე და კულტმასობრივი სექტორის ხელმძღვანელი ტკბილ მოგონებებში გაიხლართნენ: — გახსოვს, რა დრო ვატარეთ ზედაზენზე? — შენ ის თუ გახსოვს, ჩარგალში ბარაქიანი ხინკალი რომ გავაკეთეთ? — როგორ არა! — ისე, გელათშიც კარგი პურის ჭამა გვექონდა! — მაგრამ ანანურში რომ სუფრა იყო, ტყუილია! — რავე, არმაზში არ სჯობდა? — იქ არ ვყოფილვარ! გურიში ვიყავი ქორწილში დაბატიყებული. — იყალთოში ცხვრის მწვადი რომ შევწვით, იფ, რა იყო! — ის თუ გახსოვს, აწყურში ათმა კაცმა ორ-მოცდაათლიტრიანი ბოცა რომ დავაყირავეთ? — უფლისციხიდან გოჭის თავი რომ წამოგულეთ უფროსს, ის როგორი იყო? — ნიკორწმინდას მაინც არაფერი სჯობდა! რა ვიგორილეთ ორი დღე და ღამე?! — ეგ არ გამაგონო, სწორედ იმან მომიღო ბოლო, გვარიანად გავცივიდი. — აბა, ამ კვირას ვერ წამოხვალ? — რადიკულიტი არ გამომიშვებს. ისე, სად ქეიფობთ? — აქვე, მცხეთაში. ჯვარზე! მალხაზ ცოტაძე



პენსიონის თვალით

მთ. რედაქტორის მოადგილე ჯაშრ გოლჭვაძე აკადემიკოსი იყოლავია: ზ. გეგაზაშვილი (მთ. რედაქტორი) ზ. კაციაშვილი, ზ. ლოლუა, ზ. ლომიძე, ნ. მაღალაშვილი (მხატვ. რედ.), ზ. ნიშინაძე, ზ. სინარულიძე (პ/მგ. მდივანი), ზ. ფირცხალავა, თ. ვალიძე

● ტექნიკური რედაქტორი ა. კუხალაშვილი, ● საბჭოთა და იუზორის შურნალი „ნიანგი“ ● თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42, საქართველოს კვ. ც-ის გამომცემლობა, ● გადაცემა ასაწყობად 23/XII-77 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 24/I-78 წ. ქაღალდის ზომა 70x1081/8 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2. საბარცხვო-საგამომცემლო თაზანი 1.7 ● საქართველოს კვ. ც-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14. ● შეკვ. 3784 უფ. 00621 ტირ. 145.000 ● თბილისი, პრ. რუსთაველი № 42, საგირიკო-იუმორისტული ჟურნალ „ნიანგი“, ● Издательство ЦК КП Грузии. ● Типография Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.

ტელეფონები: 99-76-69, 93-19-42, 93-10-78, 93-49-32. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ნახატი თემების ავტორები: ა. ადგიშვილი, ნ. ბარათია, ნ. ქუთუხაშვილი, მ. ანთაძე, ა. კრამბე, მ. მებრეველი, მ. აბაშიძე, მ. ლეიხაძე, გ. ლომიძე.

